



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი

<p>„დამტკიცებულია“</p> <p>რექტორი პროფ. გიორგი ლავთაძე</p> <p>აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი № 1</p> <p>31 აგვისტო 2011 წელი</p>	<p>„დამტკიცებულია“</p> <p>დეკანი ასოც. პროფ. გოდერძი ვაჭრიძე</p> <p>ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი №2</p> <p>30 აგვისტო 2011 წელი</p>
---	--

საბაკალავრო პროგრამა

ტურიზმი
2012-2016 წწ.

ქუთაისი
2011

**1. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ტურიზმი - Tourism
დამატებითი (minor) პროგრამა: „ტურიზმი“**

(სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის)

**2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია : ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში
Bachelor of Business Administration in Tourism**

3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით : 240 ECTS კრედიტი

ძირითადი ნაწილი - 180 ECTS კრედიტი

მათ შორის: თავისუფალი კრედიტი - 10 ECTS კრედიტი

მოდული - 60 ECTS კრედიტი

4. სწავლების ენა: ქართული

5. საბაკალავრო პროგრამის მიზანი

პროგრამის ძირითადი ნაწილის მიზანია ტურიზმის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს ტურიზმის სფეროში (ტურისტულ ფირმებში, სააგენტოებში, ტურისტულ კომპლექსებში, სასტუმროებში, საინფორმაციო და სარეკლამო ცენტრებში, საექსკურსიო ობიექტებში, ნაკრძალებში, ეროვნულ პარკებში და ა. შ.) ეფექტურ მოღვაწეობას, რაშიც მას დაეხმარება ტურისტული საქმიანობის თეორიული და პრაქტიკული საკითხების საფუძვლიანი ცოდნა და დინამიურ ეკონომიკურ გარემოში პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევები.

მოდულის მიზანია ტურიზმის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტის გაუღრმავოს ტურისტული საქმიანობის თეორიული და პრაქტიკული ცოდნა და შესძინოს დამატებითი კომპეტენციები ისეთ მიმართულებებში მოღვაწეობისათვის, როგორცაა კულტურული, საკურორტო, აგრო და ეკო ტურიზმი.

6. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, რომელმაც წარმატებით ჩაბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები ქართული ენასა და ლიტერატურას, უცხო ენასა და ზოგად უნარებში, ასევე საგნებიდან: გეოგრაფია, ისტორია - ერთ-ერთში.

7. სწავლის შედეგი

ტურიზმში ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის კვალიფიკაცია ენიჭება სტუდენტს, რომელსაც გააჩნია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა აღმწერით განსაზღვრული სწავლების პირველ საფეხურზე მისაღწევი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესაბამისი დონე. კერძოდ,

- ფლობს საფუძვლიან საბაზისო ცოდნას ტურისტულ ინდუსტრიაში ჩართული ორგანიზაციების (ტუროპერატორების, სააგენტოების, სერვისის მიმწოდებელი ობიექტების) საქმიანობის შესახებ, გაცნობიერებული აქვს ტურიზმის როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, იცნობს ტურიზმის ეკონომიკის, მენეჯმენტისა და მარკეტინგის თეორიას, პრინციპებსა და კონცეფციებს, ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზის საფუძვლებს, საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციულ პოტენციალს, მსოფლიოსა და საქართველოს მატერიალურ-კულტურულ ძეგლებს.

- შეუძლია ტურისტული პროდუქტის შექმნა, პრეზენტაცია და მომსახურების ფასების გაანგარიშება; ტურისტულ-საექსკურსიო მარშრუტების შერჩევა და გიდის ფუნქციის შესრულება; პროფესიულ საქმიანობაში თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება.

- შეუძლია შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით ტურისტული ბაზრის კვლევისა და ანალიზის საფუძველზე ახალი პროდუქტის შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში;

- შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია მშობლიურ და უცხოურ ენებზე, ტურიზმის სფეროში თავისი დასკვნების საჯარო წარმოდგენა, მათი მკაფიო დასაბუთება შესაბამისი ცოდნითა და ლოგიკით, როგორც სპეციალისტებთან, ისე არასპეციალისტებთან. ინტერნეტის

საშუალებით ინფორმაციის მოპოვება მისი საქმიანობისათვის საჭირო საკითხებთან დაკავშირებით.

- ინფორმაციის დიფერენცირებისა და კრიტიკულად შეფასების საფუძველზე შეუძლია შეაფასოს და შეაჯამოს შეძენილი ცოდნა, იზრუნოს მის მუდმივ განახლებაზე და განსაზღვროს დაუფლებული უნარების გამოყენების შესაძლებლობები.

- საქმიანობას წარმართავს პროფესიული ეთიკის ძირითადი პრინციპების დაცვის, ქვეყნის კანონმდებლობისა და მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის ქარტიის პატივისცემის, ასევე საკუთარი სამშობლოს ისტორიულ - კულტურული მემკვიდრეობის და ტრადიციების შენარჩუნებისა და წარმოჩენის ნიშნით.

✓ მოდულის გავლის შემდეგ ბაკალავრი შეიძენს ცოდნისა და უნარების დამატებით კომპეტენციებს. კერძოდ,

- დაეუფლება დამატებით ცოდნას ტურიზმის სხვადასხვა სახეობების (კულტურული, საკურორტო, აგრო და ეკო), სატრანსპორტო მომსახურების სრულყოფის, საზოგადოებასთან ურთიერთობის, რეკლამის და ტურიზმის საინფორმაციო სისტემების გამოყენების შესაძლებლობებს.

- შეძლებს კონკრეტულ სიტუაციაში არსებული კულტურული, საკურორტო, აგრო და ეკო მარშრუტების შერჩევას და გიდის ფუნქციის შესრულებას.

- საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში მონაწილეობას მიიღებს ტურისტული ბაზრის კვლევისა და ანალიზის საფუძველზე კულტურული, საკურორტო, აგრო და ეკო მარშრუტების დაგეგმვის პროცესში.

ტურიზმში ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრს პროგრამის დასრულების შემდეგ შესაძლებლობა ეძლევა აიმაღლოს კვალიფიკაცია სწავლის მომდევნო საფეხურზე, როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ და/ან პრაქტიკულად დასაქმდეს ტურისტულ ობიექტებზე.

8. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები ითვალისწინებს სტუდენტისათვის სწავლების ისეთი პროცესის ორგანიზებას, რომელიც უზრუნველყოფს:

- სასწავლო პროგრამის თავისუფალი შერჩევის უფლებას;
- ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კურსების დაუფლებას;
- პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო და არჩევითი კურსების შესწავლას;
- ინგლისური და სხვა უცხო ენის შესწავლას უცხოელებთან თავისუფალი კომუნიკაციის დონეზე;
- წერითი და ვერბალური კომუნიკაციის უნარ-ჩვევების შექმნას;
- სასწავლო-პროფესიული პრაქტიკის გავლას და პროფესიული გამოცდილების მიღებას ტურისტულ კერძო ფირმებსა და საწარმოებში

✓ და განხორციელდება შემდეგი ფორმით:

- **საკონტაქტო:**
 - პასიური და აქტიური (სალექციო ფორმით);
 - ინტერაქტიური (სამუშაო ჯგუფში მუშაობა);
 - საქმიანი თამაშები (საწარმოო პროცესების სიტუაციური მოდელირება);
- **სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა;**
- **პროფესიული პრაქტიკა.**

საკონტაქტო ფორმის დროს გამოიყენება სწავლების ისეთი ხერხები, როგორცაა:

ვერბალური ანუ ზეპირი მეთოდი გულისხმობს სალექციო მასალის გადაცემას სტუდენტისათვის ვერბალური გზით, რომლის დროსაც გამოიყენება კითხვა-პასუხის, ინტერაქტიური მუშაობის, პრაქტიკული სიტუაციის მოდელირების საფუძველზე თეორიული დებულებების ახსნის მეთოდები;

დისკუსია/დებატები ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული

შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს. სტუდენტებს საშუალება ეძლევათ აქტიურად გამოხატონ მიღებული ცოდნა და ინტენსიურად ჩაერთონ ჯგუფში მუშაობის პროცესში, წარმოადგინონ მომზადებული პრეზენტაციები, განახორციელონ საკუთარი მოსაზრებების არგუმენტირებული დაცვა;

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება სწავლების მეთოდია, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.

შემთხვევის ანალიზის მეთოდის გამოყენებით სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილება კონკრეტულ შემთხვევები, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხის მანამდე უცნობ მხარეებს.

წერიტი მეთოდების გამოყენებით სტუდენტების მიერ ხორციელდება ჩანაწერების გაკეთება, გარკვეული თეზისების სახით; ესეების, მოხსენებების გაკეთება.

გონებრივი იერიშის მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას, რაც გულისხმობს დავალების ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად შესაძლებელი (შესაძლოა რადიკალურად განსხვავებული) მოსაზრების, იდეის ჩამოყალიბებასა და პრეზენტაციას, კერძოდ: პრობლემის დასმა ან საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა; დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა; გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან; კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა; შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით; უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

დემონსტრირების მეთოდით გულისხმობს ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას და ეხმარება ლექტორს თვალსაჩინოდ გახადოს სასწავლო მასალის აღქმა. შესაძლოა, მასალა ერთდროულად ელექტრო ტექნიკური და ვიზუალური გზით მიეწოდოს სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება ხორციელდება როგორც პროფესორის, ისე სტუდენტის მიერ.

ინდუქციური მეთოდი სწავლის პროცესში დახმარებას უწევს აზრის მსვლელობას კერძო (კონკრეტული) ფაქტებიდან განზოგადებისაკენ, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.

დედუქციური მეთოდი ცოდნის გადაცემის ისეთი ხერხია, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის გამომჟღავნების ლოგიკური პროცესია, ანუ ზოგადიდან კონკრეტულისაკენ პროცესის მიმდინარეობის მართვაა.

ანალიზის მეთოდი გულისხმობს სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლას, რაც ამარტივებს დასმული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალურ გაშუქებას.

სინთეზის მეთოდი გულისხმობს ცალკეული საკითხების თავმოყრით მთლიანის შესახებ წარმოდგენის შექმნას. იგი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც „მთელი“ს დანახვის უნარის განვითარებას.

ახსნა-განმარტებითი მეთოდი ეფუძნება მოცემული საკითხის ირგვლივ მსჯელობას. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

პრეზენტაცია ითვალისწინებს ქმედებაზე ორიენტირებულ სწავლებას, რის გამოც სტუდენტები ვალდებული არიან მოიძიონ რელევანტური მასალები წინასწარ მოცემულ საკითხებზე და წარმოადგინონ სლაიდ-შოუ. პრეზენტაციები შეუძლიათ წარმოადგინონ როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად.

ვენის დიაგრამა - ვენის დიაგრამა შედგება ორი ან მეტი ურთიერთგადაჯაჭვული წრისაგან, რომლის შუაში სივრცეა. მისი გამოყენება შეიძლება ორი განსხვავებული ინფორმაციის ერთმანეთთან შედარებისას: ერთ მხარეზე იწერება ერთი მოვლენისთვის დამახასიათებელი მონაცემები, მეორეში - მეორის შესაბამისი, ხოლო შუა ცარიელ ადგილზე კი იწერება ის მახასიათებლები, რომელიც საერთო აღმოჩნდება ორივე მათგანისათვის.

- **სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა** - სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კურსების წარმატებით ათვისებისათვის დახარჯული სამუშაო დროის (შრომის) რაოდენობაა ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის გაცნობა-შესწავლიდან - ჯგუფურ მუშაობამდე და/ან შუალედური და ფინალური გამოცდების მომზადებისათვის.

- **პროფესიული პრაქტიკა** - სასწავლო მეცადინეობის სახე, რომლის პროცესში სტუდენტები პრაქტიკის ხელმძღვანელის მითითებით დამოუკიდებლად ასრულებენ შესაბამისი სილაბუსით გათვალისწინებულ საწარმოო დავალებებს მომქმედ ორგანიზაციაში (აწეს პედაგოგიური და პროფესიული პრაქტიკის სამსახურთან შეთანხმებით) და შეიძენენ ტურისტული ბიზნესის ადმინისტრირების პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, პროფესიულ ცოდნასა და სიახლეებს.

9. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

შეფასება სწავლისა და სწავლების პროცესის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც ორ ძირითად მიზანს ემსახურება:

1. სტუდენტის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა და მისი სწავლისათვის ხელშეწყობა;
2. სწავლების კონკრეტული მეთოდის და სასწავლო პროგრამების ეფექტიანობის შემოწმება და სრულყოფა. პედაგოგმა უნდა იცოდეს, თუ რა კონკრეტულ მიზანს ისახავს სტუდენტის შეფასება, ასევე, თუ როგორ უნდა გამოიყენოს ინფორმაცია, რომელსაც შეფასების შედეგად იღებს.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.
2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის ათვისების მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, თუ მას შუალედურ შეფასებებზე მინიმუმ 11 ქულა აქვს.

კურსი ათვისებულად ითვლება, თუ სტუდენტის საბოლოო შეფასება მეტია 51- ზე

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

- ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათავისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება სასწავლო კურსების სილაბუსით.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ:

პროგრამას ემსახურება სხვადასხვა მიმართულების როგორც აკადემიური პერსონალი და მოწვეული აკადემიური დოქტორები.

მათ შორის:

პროგრამა	სრული პროფესორი	ასოცირებული პროფესორი	ასისტენტ პროფესორი	მოწვეული (აკადემიური დოქტორი)
ტურიზმი	3	18	3	10 (6)

ტურიზმის პროგრამის განსახორციელებლად გამოიყენება შემდეგი მატერიალური რესურსები: აწსუ-ს კორპუსები, კეთილმოწყობილი აუდიტორიები, ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზები; დეპარტამენტში არსებული სალიტერატურო ფონდი, უნივერსიტეტის კომპიუტერული ცენტრის აუდიტორიები, ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის დეპარტამენტთან არსებული „პროფესიული წვრთნის, გადამზადებისა და უწყვეტი ეკონომიკური განათლების“ სასწავლო ცენტრში არსებული ტექნიკა (მათ შორის. საპროექციო და სხვა სადემონსტრაციო აპარატურა), სამედიცინო პუნქტი, ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები, პანდუსები (ინკლუზივი სტუდენტებისათვის), ჭავჭავაძის №21 სასწავლო კორპუსში განთავსებული კომპიუტერული 4 კლასი და ტურიზმის კაბინეტი და სხვ.

კომპეტენციათა მატრიცა

კურსის დასახელება	კომპეტენციები					
	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
I. სპეციალობის დამხმარე სავალდებულო კურსები						
აკადემიური წერა		X		X		
ზოგადი მათემატიკა	X		X		X	
ინფორმაციული ტექნოლოგიები	X	X	X	X	X	X
საქართველოს მატერიალურ-კულტურული ძეგლები	X	X				X
მსოფლიო კულტურა და ხელოვნება	X	X			X	X
საკორპორაციო სამართალი	X	X				
II. ძირითადი სპეციალობის არჩევითი კურსები						
ფილოსოფიის საფუძვლები	X	X	X	X	X	X
რელიგიის ისტორია	X	X				X
საქართველოს ისტორია	X	X			X	X
ლანდშაფტური არქიტექტურა დენდროლოგიის საფუძვლებით	X	X	X			X
ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა	X	X	X		X	
ეთნოლოგია	X	X	X			X
ეკონომიკური აზრის ისტორია	X		X	X		X
ეკოლოგია და გარემოს დაცვა	X		X		X	X
ეკოლოგია და გარემოს დაცვა	X		X	X		X
ბიზნესის ეთიკა და ეკონომიკური ფსიქოლოგია	X	X	X			X

ვალეოლოგია	X	X	X	X		X
III. ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კურსები						
ეკონომიკის პრინციპები 1	X		X	X	X	X
საქართველოს გეოგრაფია	X	X	X	X	X	X
ეკონომიკის პრინციპები 2	X		X	X	X	X
ტურიზმის საფუძვლები	X			X		X
ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტი	X	X		X	X	
მენეჯმენტის საფუძვლები	X	X		X	X	
ექსკურსიათმცოდნეობა	X	X		X		X
საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები	X	X				
პროფესიული პრაქტიკა 1	X	X		X		X
სასტუმროების ინდუსტრია	X	X		X		X
მიკრო-მაკრო ეკონომიკა	X	X				X
ტურიზმის ეკონომიკა	X	X	X	X		
ტუროპერეტიინგი და ტურისტული სააგენტოები	X	X		X		X
ტურიზმის მენეჯმენტი	X	X	X			
კვების ორგანიზაცია ტურიზმში	X	X				
მარკეტინგის საფუძვლები	X	X				X
მარკეტინგის საფუძვლები	X	X	X	X		
პროფესიული პრაქტიკა 2	X	X		X		X
ტურიზმის მარკეტინგი	X	X				
ტურიზმის სტატისტიკა	X	X	X		X	X
ბუღალტრული აღრიცხვა	X	X				
საერთაშორისო	X		X	X	X	X

ეკონომიკა 1.						
IV. მოდულის კურსები						
რუკათმცოდნეობა	X	X	X	X	X	X
ტურისტული რეგიონების და ცენტრების გეოგრაფია	X	X				
მსოფლიოს ტურისტულ- რეკრეაციული რესურსები		X				
ეკოლოგიური ტურიზმი	X	X		X	X	X
კულტურული ტურიზმი	X	X	X	X	X	
აგრო ტურიზმი	X	X	X			X
პროფესიული ეთიკა და ეტიკეტი	X	X				
ინფორმაციული სისტემები ტურიზმში	X	X	X	X	X	
საკურორტო ტურიზმი	X	X		X	X	X
საზოგადოებასთან ურთიერთობები	X			X	X	X
სატრანსპორტო მომსახურეობა ტურიზმში	X	X	X	X		X
რეკლამა ტურიზმში	X	X	X	X		

10. სასწავლო გეგმა

პროგრამის დასახელება: ტურიზმი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში

№	კურსის დასახელება	კრ	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში			ლ/პ/ჯგ	სემესტრი							
			სულ	საკ	დამ		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
I. სპეციალობის დამხმარე სავალდებულო კურსები														
I.1	აკადემიური წერა	5	125	45	80	0/0/3	x							
I.2	ზოგადი მათემატიკა	5	125	45	80	1,5/0/1,5	x							
I.3	უცხო ენა 1	5	125	75	50	0/0/5	x							
I.4	ინფორმაციული ტექნოლოგიები	5	125	45	80	0/0/3		x						
I.5	უცხო ენა 2	5	125	75	50	0/0/5		x						
I.6	საქართველოს მატერიალურ-კულტურული ძეგლები	5	125	45	80	2/0/1		x						
I.7	უცხო ენა 3	5	125	75	50	0/0/5			x					
I.8	მსოფლიო კულტურა და ხელოვნება	5	125	45	80	2/0/1								x
I.9	საკორპორაციო სამართალი	5	125	45	80	2/0/1								x
სულ		45	1125	495	630	-								
II. ძირითადი სპეციალობის არჩევითი კურსები*														
II.1	ფილოსოფიის საფუძვლები	5	125	45	80	2/0/1	x							
II.2	რელიგიის ისტორია	5	125	45	80	2/0/1	x							
II.3	საქართველოს ისტორია	5	125	45	80	2/0/1	x							
II.4	ლანდშაფტური არქიტექტურა დენდროლოგიის საფუძვლებით	5	125	45	80	1/0/2		x						
II.5	მეორე უცხო ენა 1	5	125	75	50	0/0/5		x						
II.6	ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა	5	125	45	80	2/0/1		x						
II.7	მეორე უცხო ენა 2	5	125	75	50	0/0/5			x					
II.8	ეთნოლოგია	5	125	45	80	2/0/1			x					
II.9	ეკონომიკური აზრის ისტორია	5	125	45	80	1,5/0/1,5			x					

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
II.10	მეორე უცხო ენა 3	5	125	75	50	0/0/5				x				
II.11	ეკოლოგია და გარემოს დაცვა	5	125	45	80	1/0/2				x				
II.12	ბიზნეს ეთიკა და ეკონომიკური ფსიქოლოგია	5	125	45	80	2/0/1				x				
II.13	ვალეოლოგია	5	125	45	80	1/0/2				x				
სულ		20	250											
III. ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კურსები														
III.1	ეკონომიკის პრინციპები 1	5	125	45	80	1,5/0/1.5	x							
III.2	საქართველოს გეოგრაფია	5	125	45	80	2/0/1	x							
III.3	ეკონომიკის პრინციპები 2	5	125	45	80	1,5/0/1.5		x						
III.4	ტურიზმის საფუძვლები	5	125	45	80	1,5/0/1.5		x						
III.5	ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტი	5	125	45	80	1/0/2			x					
III.6	მენეჯმენტის საფუძვლები	5	125	45	80	2/0/1			x					
III.7	ექსკურსიათმცოდნეობა	5	125	45	80	1/0/2				x				
III.8	საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები	5	125	45	80	1/0/2				x				
III.9	პროფესიული პრაქტიკა 1	5	125	15	110					x				
III.10	სასტუმროების ინდუსტრია	5	125	45	80	1/0/2					x			
III.11	მიკრო-მაკრო ეკონომიკა	5	125	45	80	2/0/1					x			
III.12	ტურიზმის ეკონომიკა	5	125	45	80	1,5/0/1.5					x			
III.13	ტუროპერეიტინგი და ტურისტული სააგენტოები	5	125	45	80	1/0/2					x			
III.14	ტურიზმის მენეჯმენტი	5	125	45	80	2/0/1						x		
III.15	კვების ორგანიზაცია ტურიზმში	5	125	45	80	0/0/3						x		
III.16	მარკეტინგის საფუძვლები	5	125	45	80	2/0/1						x		
III.17	პროფესიული პრაქტიკა 2	5	125	45	80							x		
III.18	ტურიზმის მარკეტინგი	5	125	45	80	1/0/2							x	
III.19	ტურიზმის სტატისტიკა	5	125	45	80	1,5/0/1.5							x	
III.20	ბულალტრული აღრიცხვა	5	125	45	80	1/0/2							x	
III.21	საერთაშორისო ეკონომიკა 1	5	125	45	80	1,5/0/1.5								x
სულ		105	2625	945	1680									

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
IV. მოდულის კურსები														
IV.1	რუკათმცოდნეობა	5	125	45	80	2/0/1			x					
IV.2	ტურისტული რეგიონებისა და ცენტრების გეოგრაფია	5	125	15	110	1/0/2			x					
IV.3	მსოფლიო ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები	5	125	45	80	1/0/2				x				
IV.4	ეკოლოგიური ტურიზმი	5	125	45	80	2/0/1				x				
IV.5	კულტურული ტურიზმი	5	125	45	80	1/0/2					x			
IV.6	აგროტურიზმი	5	125	45	80	1/0/2					x			
IV.7	პროფესიული ეთიკა და ეტიკეტი	5	125	45	80	0/0/3						x		
IV.8	ინფორმაციული სისტემები ტურიზმში	5	125	45	80	1/0/2						x		
IV.9	საკურორტო ტურიზმი	5	125	45	80	2/0/1							x	
IV.10	საზოგადოებასთან ურთიერთობები	5	125	45	80	1/0/2							x	
IV.11	სატრანსპორტო მომსახურება ტურიზმში	5	125	45	80	2/0/1								x
IV.12	რეკლამა ტურიზმში	5	125	45	80	1/0/2								x
სულ		60	1500	510	990									
V. არჩევითი თავისუფალი კურსები**														
V.1.1	არჩევითი თავისუფალი კურსი	5	125										x	
V.1.2	არჩევითი თავისუფალი კურსი	5	125											x
სულ		10	250											
სულ, პროგრამით		240	6000											

* ძირითადი სპეციალობის შეთავაზებული არჩევითი კურსებიდან სტუდენტი თითოეულ სემესტრში ირჩევს ერთს

** თავისუფალი კრედიტის ფარგლებში სტუდენტს უფლება აქვს აირჩიოს უნივერსიტეტის ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული 10 კრედიტის მოცულობის კურსები (შესაბამის კენტ ან ლუწ სემესტრებში).

დამხმარე აღნიშვნები: კრ.-კრედიტი; სთ.-საათი; ლ.-ლექცია; პ.-პრაქტიკული მეცადინეობა; ჯ.-ჯგუფში მუშაობა; საკ.-საკონტაქტო მუშაობის დრო; დამ.-დამოუკიდებელი მუშაობის დრო.

1. პროგრამის დასახელება: ტურიზმი (minor)
2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: (minor)
3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 60 ECTS კრედიტი
4. სწავლების ენა: ქართული
5. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

ტურიზმის დამატებითი (minor) პროგრამის მიზანია სტუდენტს:

- მისცეს ტურიზმის სფეროს მახასიათებელი ძირითადი დებულებებისა და კატეგორიების გაცნობიერების აუცილებელი თეორიული ცოდნა;
 - ჩამოუყალიბოს პრაქტიკული უნარ-ჩვევების ფართო სპექტრი ტურიზმის სფეროში (ტურისტულ ფირმებში, სააგენტოებში, ტურისტულ კომპლექსებში, სასტუმროებში, საინფორმაციო და სარეკლამო ცენტრებში, საექსკურსიო ობიექტებში, ნაკრძალებში, ეროვნულ პარკებში და ა. შ.) საქმიანობისათვის;
 - მიღებული ცოდნის საფუძველზე, ჩამოუყალიბოს ბიზნეს გარემოში პრაქტიკული საქმიანობის უნარ-ჩვევები როგორც საჯარო და/ან კერძო სექტორში, ისე საკუთარ ბიზნესში, თავისი კომპეტენციის ფარგლებში;
 - ხელი შეუწყოს კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლების შესაძლებლობას სწავლის მომდევნო საფეხურზე, როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ.
6. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის სტატუსი.

7. სწავლის შედეგი:

ცოდნა/გაცნობიერება:

ტურიზმის სფეროში ჩართული ორგანიზაციების (ტუროპერატორების, სააგენტოების, სერვისის მიმწოდებელი ობიექტების) საქმიანობის პრაქტიკული საკითხების აღწერის, შეფასების და გაცნობიერების აუცილებელი ცოდნა და საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციულ პოტენციალის შეცნობა;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:

შეუძლია ტურისტული პროდუქტის შექმნა, პრეზენტაცია და მომსახურების ფასების გაანგარიშება; ტურისტულ-საექსკურსიო მარშრუტების შერჩევაში მონაწილეობა და გიდ-ექსკურსიამდლოლის ფუნქციის შესრულება; პროფესიულ საქმიანობაში თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება;

დასკვნის უნარი:

კომპეტენციის ფარგლებში თავისი დასკვნების საჯარო წარმოდგენა, მათი მკაფიო დასაბუთება შესაბამისი ცოდნითა და ლოგიკით, როგორც სპეციალისტებთან, ისე არასპეციალისტებთან.

კომუნიკაციის უნარი:

ზეპირი და წერილობითი ინფორმაციის მიღების, აღქმის, დამუშავებისა და წარდგენის; დარგის სპეციალისტებთან და/ან არასპეციალისტებთან ვერბალურ და ელექტრონულ დიალოგებსა და დისკუსიებში მონაწილეობა; სპეციალური ტერმინოლოგიის გამოყენებით ტურისტული ბიზნეს ინფორმაციის გადაცემის უნარი;

სწავლის უნარი:

განსაზღვროს სწავლის საჭიროების, მისი აუცილებლობის დონე და ხარისხი, მიიღოს და განაახლოს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის გზით მიღებული ცოდნა; გამოიყენოს სასწავლო ლიტერატურისა და ინტერნეტრესურსების, საკუთარი ცოდნის შესაბამისი ქართული და უცხოური ლიტერატურის კითხვით უწყვეტი განვითარების შესაძლებლობები;

ღირებულებები:

საქმიანობის წარმართვაში პროფესიული ეთიკის ძირითადი პრინციპების დაცვის, სამშობლოს ისტორიულ - კულტურული მემკვიდრეობის და ტრადიციების შენარჩუნებისა და წარმოჩენის თვისება.

მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაცნობიერების, ტურისტულ გარემოში ურთიერთ-სარგებლიანობის პრინციპის დაცვის გრძნობა;

8. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

• **საკონტაქტო:**

✓ **ლექცია** - სტუდენტებისადმი სისტემატურად და თანმიმდევრულად სასწავლო მასალის გადაცემა, განსახილველი თემის ან რაიმე საკითხის ახსნა-განმარტება. იგი აქტიურია, როცა იღებს დიალოგის სახეს, ხოლო პასიურია მონოლოგის ფორმით;

✓ **სამუშაო ჯგუფში მუშაობა** - სტუდენტების მიერ ერთობლივი ან ინდივიდუალური მცდელობა წინასწარ მიცემული საკითხის ან თემის შესახებ შესრულებული სამუშაოს პრეზენტაცია. მიზანშეწონილია გაუგებარი და ძნელად გასაგები საკითხების განმეორებით განხილვა;

• **სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა** - სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კურსების წარმატებით ათვისებისათვის დახარჯული სამუშაო დროის (შრომის) რაოდენობაა ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის გაცნობა-შესწავლიდან - ჯგუფურ მუშაობამდე და/ან შუალედური და ფინალური გამოცდების მომზადებისათვის.

9. შეფასების კრიტერიუმები:

შეფასება სწავლისა და სწავლების პროცესის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც ორ ძირითად მიზანს ემსახურება:

სტუდენტის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა და მისი სწავლისათვის ხელშეწყობა;

სწავლების კონკრეტული მეთოდიკის და სასწავლო პროგრამების ეფექტიანობის შემოწმება და სრულყოფა. პედაგოგმა უნდა იცოდეს, თუ რა კონკრეტულ მიზანს ისახავს სტუდენტის შეფასება, ასევე, თუ როგორ უნდა გამოიყენოს ინფორმაცია, რომელსაც შეფასების შედეგად იღებს.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის ათვისების მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, თუ მას შუალედურ შეფასებებზე მინიმუმ 11 ქულა აქვს.

კურსი ათვისებულად ითვლება, თუ სტუდენტის საბოლოო შეფასება მეტია

51- ზე

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათავისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება სასწავლო კურსების სილაბუსით.

დამატებით პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ:

ეკონომიკის პროგრამის განსახორციელებლად გამოიყენება შემდეგი მატერიალური რესურსები: აწსუ-ს კორპუსები, კეთილმოწყობილი აუდიტორიები, ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზები; დეპარტამენტში არსებული სალიტერატურო ფონდი, უნივერსიტეტის კომპიუტერული ცენტრის აუდიტორიები, ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის დეპარტამენტთან არსებული „პროფესიული წვრთნის, გადამზადებისა და უწყვეტი ეკონომიკური განათლების“ სასწავლო ცენტრში არსებული ტექნიკა (მათ შორის. საპროექციო და სხვა სადემონსტრაციო აპარატურა), სამედიცინო პუნქტი, ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები, პანდუსები (ინკლუზივი სტუდენტებისათვის), ჭავჭავაძის №21 სასწავლო კორპუსში განთავსებული კომპიუტერული 4 კლასი და ტურიზმის კაბინეტი და სხვ.

პროგრამას ემსახურება 4 - ასოცირებული პროფესორი და 2 მოწვეული პერსონალი (მათ შორის 1 აკადემიური დოქტორი).

10. სასწავლო გეგმა

პროგრამის დასახელება: ტურიზმი (minor)

№	კურსის დასახელება	კრ	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში			ლ/პ/ჯგ	სემესტრი					
			სულ	საკ	დამ		III	IV	V	VI	VII	VIII
1	ტურიზმის საფუძვლები	5	125	45	80	1,5/0/1,5	x					
2	საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები	5	125	45	80	1/0/2	x					
3	ტურიზმის ეკონომიკა	5	125	45	80	1,5/0/1,5		x				
4	ტურიზმის მენეჯმენტი	5	125	45	80	2/0/1		x				
5	ტუროპერეტიინგი და ტურისტული სააგენტოები	5	125	45	80	1/0/2			x			
6	ექსკურსიათმცოდნეობა	5	125	45	80	1/0/2			x			
7	ინფორმაციული სისტემები ტურიზმში	5	125	60	65	2/0/2				x		
8	კულტურული ტურიზმი	5	125	45	80	1/0/2				x		
9	კვების ორგანიზაცია ტურიზმში	5	125	45	80	0/0/3					x	
10	ტურისტული ცენტრებისა და რეგიონების გეოგრაფია	5	125	45	80	1/0/2					x	
11	ტურიზმის მარკეტინგი	5	125	45	80	1/0/2						x
12	პროფესიული ეთიკა და ეტიკეტი	5	125	45	80	0/0/3						x
სულ		60	1500	540	960	-						

* გამოყენებულ შემოკლებათა განმარტება: კრ. - კრედიტი, სკ - საათი კვირაში; ლ/პ/ჯგ - ლექცია/პრაქტიკული/ჯგუფში მუშაობა.

კომპეტენციათა მატრიცა

კურსის დასახელება	კომპეტენციები					
	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
ტურიზმის საფუძვლები	X			X		X
საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები	X	X				
ტურიზმის ეკონომიკა	X	X	X	X		
ტურიზმის მენჯემენტი	X	X	X			
ტუროპერეტიინგი და ტურისტული სააგენტოები	X	X		X		X
ექსკურსიათმცოდნეობა	X	X		X		X
ინფორმაციული სისტემები ტურიზმში	X	X	X	X	X	
კულტურული ტურიზმი	X	X	X	X	X	
კვების ორგანიზაცია ტურიზმში	X	X				
ტურისტული რეგიონების და ცენტრების გეოგრაფია	X	X				
ტურიზმის მარკეტინგი	X	X				
პროფესიული ეთიკა და ეტიკეტი	X	X				